პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 აპრილი პარასკევი 1970

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი

№ 90 (14694)

დაე საუკუნეებში ცოცხლობდეს მარქსისა და ენგელსის რევოლუციური მოძღვრების გენიალური განმგრძობის, კომუნისტური პარტიის დამაარსებლის, მსოფლიოში პირველმა ფლეგვამოსილი პროლეტარული რევოლუციის ხელმძღვანელის, სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის, საერთაშორისო მუშათა კლასის გელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელი და საქმე!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი პროფკავშირული და მუშათა მოძრაობის წარმომადგენელთა საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეებს

მხურვალედ მივესალმებით ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი პროფკავშირული და მუშათა მოძრაობის წარმომადგენელთა საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხუთიდე კონტინენტის მშრომელთა წარმომადგენლების გადაწყვეტილება — შეიკრიბონ ვ. ი. ლენინის სამშობლოში, რათა საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენლებთან ერთად ზეიმით აღნიშნონ სახელოვანი იუბილე, მოწმობს მთელი მსოფლიოს მუშების სიყვარულსა და პატივისცემას დიდი რევოლუციონერის და პროლეტარიატისა და ყველა მშრომელის განთავისუფლებისათვის მებრძოლის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისადმი.

მოახმარა რა თავისი ცხოვრება კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლას, ლენინმა, მარქსისა და ენგელსის შემდეგ, სწორედ მუშათა კლასში დაინახა ის ძალა, რომელსაც შესწევს უნარი ბოლო მოუღოს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, სიღატაკეს, შიმშილს, ომებს, — ძალა, რომელიც მოწოდებულია სათავეში ჩაუდგეს სოციალისტურ საწყისებზე მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნის პროცესს. ლენინის სახელთან, ლენინიზმთან განუყრელად დაკავშირებულია მსოფლიო-ისტორიული წარმატებები, რომლებიც საერთაშორისო მუშათა კლასმა მოიპოვა მიმდინარე საუკუნეში: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც დაიწყო ახალი ეპოქა კაცობრიობის ისტორიაში, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა, ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა და კოლონიური სისტემის მსხვრევა, მსხვილი კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ კლასობრივ ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვებანი.

ყველა ქვეყნის მშრომელთა უმდიდრესმა გამოცდილებამ დამაჯერებლად დაადასტურა ლენინის შორსმჭვრეტელური სიტყვები, რომ საჭიროა მუშების საერთაშორისო კავშირი, მათი საერთაშორისო ძმობა. მშრომელთა ყველა რაზმის, კერძოდ მათი პროფკავშირების, მთელი რევოლუციური და დემოკრატიული ძალების მოქმედების ერთიანობა, ურთიერთდახმარება და მხარდაჭერა წარმატების გადამწყვეტი პირობაა გიგანტურ ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ. დღეს დემოკრატიული ძალების, უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობა უაღრესად საჭიროა იმისათვის, რომ მხარი დავუჭიროთ ბრძოლას ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამში და ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ ახლო აღმოსავლეთში.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა პროფესიული კავშირების დიდმნიშვნელოვან როლს საერთაშორისო მუშათა კლასის შეკავშირების საქმეში, მიაჩნდა, რომ პროფკავშირები დიდი სკოლაა მშრომელთა საერთო ბრძოლისა მხსნელი კაპიტალის წინააღმდეგ, თავიანთი სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური უფლებებისათვის, სოციალიზმისათვის. იგი აქტიურად ეხმარებოდა პროფკავშირული მოძრაობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას კლასობრივ საფუძველზე, ღრმად გააშუქა მისი როლი და ამოცანები როგორც კაპიტალიზმის პირობებში, ისე მუშათა კლასის მიერ ხელისუფლების მოპოვების შემდეგ.

საბჭოთა პროფკავშირები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ახმარენ რა თავიანთ ძალებს კომუნისტურ მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში, თავიანთ ღვიძლ საქმედ თვლიან იმას, რომ ხელს უწყობდნენ მსოფლიოს მუშათა ინტერნაციონალური ძმობის განმტკიცებას, მხარს უჭერდნენ ყველას, ვინც იბრძვის იმპერიალიზმისა და მისი აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ წარმატებებს მუშათა კლასის დიადი საქმისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ლ. ბრეჟნევი
სკკპ ცენტრალური კომიტეტის
გენერალური მდივანი

ნ. პოდგორნი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ა. კოსიგინი
სსრ კავშირის მინისტრთა
საბჭოს თავმჯდომარე

თბილისი. 1970 წლის 16 აპრილი. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა.

ფოტო ალ. ბინზბურგისა.

ლენინის მემორიალი გაიხსნა

ამ დღეებში ყველა ადამიანის ფიქრები, ვიხთვისაც ძვირფასია მშვიდობა, თავისუფლება, პროგრესი, მიმართულია ჩვენი რევოლუციური ეპოქის უკვდავი გენიის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისადმი. ლენინის მოძღვრება შთაგონების დაუშრეტელი წყაროა ბრძოლაში სოციალიზმისათვის, კომუნიზმისათვის, მშრომელი ადამიანის საკეთილდღეოდ სოციალური გარდაქმნებისათვის.

საბჭოთა ხალხი ლენინის იუბილეს ხვდება კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებით. ყველა წარმატება, ყველაფერი, რითაც ამაყობს საბჭოთა ადამიანი, მიღწეულია იმის მეოხებით, რომ ჩვენი კომუნისტური პარტია მთელ თავის საქმიანობაში განუხრელად ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით, თანმიმდევრულად მიდის ლენინური კურსით.

საბჭოთა ხალხისათვის უსაზღვროდ ძვირფასია ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ლენინის სახელთან. ილიჩის სამშობლო ულიანოვსკში დიდი ზეიმია — იხსნება მემორიალური კომპლექსი, რომელიც ბიგო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად.

ამ მოვლენისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე კომპლექსის მთავარ დარბაზში 16 აპრილს შეიკრიბნენ წარმოების მოწინავენი, სოფლის მეურნეობის მშრომელები, პარტიის ვეტერანები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, ქალაქისა და ოლქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ბევრმა მათგანმა ამ დღეებში მიიღო სპეციალური ჯილდო — საიუბილეო მედალი „შრომითი მამაცობისათვის“. ბევრმა მიიღო შრომითი დიდების სიმბოლო — მედალი ლენინის მემორიალის მშენებელი“.

მხურვალე, ხანგრძლივი ტაში გაისმა, როცა პრეზიდიუმში შემოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ სოლქო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

სკკპ ულიანოვსკის სოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ა. სკოჩილოვმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ ლენინის მემორიალური კომპლექსის გახსნა დიდი და სასიხარულო მოვლენაა ქალაქის ცხოვრებაში. ეს კომპლექსი მნიშვნელოვნად აფართოებს ლენინის უკვდავი მოძღვრების შესწავლისა და პროპაგანდის, ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითით მშრომელთა აღზრდის შესაძლებლობებს.

ულიანოვსკელები უდიდესი სიხარულით მოახსენებენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ ლენინის მემორიალი ამენდ რეკორდულად მოკლე ვადაში — სამ წელიწადში და სახელმწიფო კომისიამ მიიღო „ფრიადზე“ შეფასებით. ეს იყო ჭეშმარიტად საერთო სახალხო მშენებლობა. ულიანოვსკელებთან ერთად აქ მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქიდან ჩამოსული მშენებლები.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. კრების მონაწილენი მას მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

პატივცემულო სტუმრებო!

ძვირფასო მეგობრებო!

თვითეული ხალხს, თვითეულ ქვეყანას აქვს წმიდათა წმიდა ადგილები, რომლებიც დაკავშირებულია დიდ ისტორიულ მოვლენებთან, ხალხის გამოჩენილი შვილების საქმეებთან. ასეთი ადგილი გახდა საბჭოთა ადამიანებისათვის ის მხარე, სადაც ლენინი დაიბადა. არ არის სხვა კაცი, რომელსაც ამდენი გაეკეთებინოს მშრომელი ადამიანების ბედნიერებისათვის, ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის, აყვავებისა და დიდებისათვის, მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა განთავისუფლებისათვის. არ არის სხვა კაცი, ვის აზრებსა და საქმეებსაც ესოდენ გადამწყვეტი გავლენა მოეხდინოს მთელი კაცობრიობის ბედზე. აქ, ულიანოვსკში, ლენინის მემორიალის შექმნით ერთხელ კიდევ გამოვლინდა, თუ რა ღრმა პატივს სცემენ საბჭოთა ადამიანები რუსეთის დიდი შვილის, გენიალური რევოლუციონერისა და მოაზროვნის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასწავლებლისა და ბელადის ხსოვნას.

ყველაზე დიდი გზაც კი პირველი ნაბიჯით იწყება. და ეს პირველი ნაბიჯი ლენინმა აქ გადადგა. სწორედ სიმბირსკში, როცა გაიგო თავისი ძმის ალექსანდრეს ტრაგიკული დაღუპვის „ამბავი, რომელიც სიკვდილით დასჯეს მეფეზე თავდასხმისათვის, ჭაბუკმა ვლადიმერ ულიანოვმა თქვა თავისი ცნობილი სიტყვები: „არა, ჩვენ ამ გზით არ ვივლით. სხვა გზას უნდა დავადგეთ“. გზა, რომელიც ლენინმა აირჩია, იყო რევოლუციური მარქსიზმის გზა.

მშრომელთა განთავისუფლება, ხაზგასმით აღნიშნავდა ვლადიმერ ილიას-ძე, „ეს დიადი საქმეა და ღირს მისთვის ადამიანმა სიცოცხლეც შესწიროს“ (ტ. 6, გვ. 518). და მან მართლაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა ამ საქმეს.

იმაში, რომ ლენინმა აირჩია ცხოვრების ასეთი გზა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ულიანოვების ოჯახმა. შემთხვევით როდი მოხდა, რომ ილია ნიკოლოზის-ძის და მარიამ ალექსანდრეს ასულის ექვსივე შვილი რევოლუციონერი გახდა. მათმა ოჯახმა შეისისხლხორცა რუსული დემოკრატიული კულტურის საუკეთესო ტრადიციები. ამ ოჯახში სუფევდა რევოლუციური სულისკვეთება. ასეთ ვითარებაში აყალიბდებოდა პროლეტარიატის მომავალი ბელადის ხასიათი.

ლენინის ცხოვრება პროფესიონალი რევოლუციონერის ცხოვრებაა. ეს არის პოლიციური დევნის, გადასახლების, საპყრობილეების, იატაკქვეშეთის, ემიგრაციის ათწლეულები. ეს არის რევოლუციის სამსახურში თეორიული და ორგანიზაციული საქმიანობის, გონების უაღრესად ინტენსიური მუშაობის, ნებისყოფის, მთელი სულიერი და ფიზიკური ძალების არაადამიანური დაძაბვის ათწლეულები. და ყოველი წელი არის ბრძოლა. ბრძოლა დაქსაქსული მარქსისტული წრეებისა და ჯგუფების გაერთიანებისათვის მძლავრ რევოლუციურ პარტიად — ახალი ტიპის პარტიად. ბრძოლა მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევი საბრძოლო კავშირის შექმნისათვის, რევოლუციის პოლიტიკური არმიის შექმნისათვის. ბრძოლა ყველა და ყოველნაირი იმ ცდების წინააღმდეგ, რომ მუშათა მოძრაობა გადაეყვანათ უნაყოფო ავანტიურებისა თუ არანაკლებ უნაყოფო რეფორმიზმის გზაზე.

პროლეტარიატის დიდმა მასწავლებლებმა მარქსმა და ენგელსმა ხალხებს უჩვენეს კაპიტალის უღლისაგან თავის დაღწევის გზა. მაგრამ მარქსი და ენგელსი ვერ მოესწრნენ იმას, რომ ენახათ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება. ლენინი ის ადამიანი გახდა, რომელმაც, მაღლა ასწია მარქსიზმის დროშა და სათავეში ჩაუდგა რევოლუციურ მასებს, გაუძღვა მათ ძველი სამყაროს საიერიშოდ.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ლენინური იდეების ჩაუქრობელი შუქი

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა

ნათელი და დიადი დღესასწაული ზოვიდა საქართველოს მიწა-წყალზე. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად, მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად საქართველო აღნიშნავს მშრომელთა გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს, ვისი სახელიც მსოფლიოს კომუნისტური გარდაქმნის სიმბოლო გახდა. ლენინის სახელი უკვდავია, როგორც უკვდავია მისი იდეები და საქმენი. ამ იდეებით და საქმეებით გაცისკროვნებულია მთელი ჩვენი ცხოვრება, ისინი, როგორც გზის მანათობელი ვარსკვლავი, გვიკვალავენ ნათელი მომავლის გზას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ისტორიულ გზაზე ცოტა რდიი ღირსშესანიშნავი. ნიშანსვეტი და სამახსოვრო თარიღი. მაგრამ ლენინის იუბილესათვის მთელი ჩვენი ქვეყანა, ყველა საბჭოთა ადამიანი განსაკუთრებული აღფრთოვანებით, განსაკუთრებული სიამაყის გრძნობით ემზადებოდნენ, იგი ახალ ძალებს მატებდა მათ და შთაგონების წყარო იყო კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

ვ. ი. ლენინი და საქართველო — ეს ორი სიტყვა განუყოფელია. ლენინის სახელთან დაკავშირებულია საქართველოსა და ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის მთელი ისტორია, ისტორია ქართველი ხალხის გმირული ბრძოლისა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და სოციალიზმის აშენებისათვის. ვ. ი. ლენინი იდგა საბჭოთა ხელისუფლების აკვანთან, მზრუნველობით წარმართავდა მის პირველ ნაბიჯებს, მან აღჭურვა ქართველი კომუნისტები საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების, ხალხთა მეგობრობის დამკვიდრების ისტორიული პროგრამით. მეგობრობისა, რომელიც შეუძლებელია ბურჟუაზიული წყობილების დროს.

საბჭოთა საქართველოს, ისევე როგორც დიადი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების უმაგალითო ეკონომიური და კულტურული ზრდა ლენინური იდეების რეალური ხორცშესხმის მკაფიო მაგალითია. მთელ თავის წარმატებებს ქართველი ხალხი უნდა უმადლოდეს ლენინური მოძღვრებისადმი, ლენინური ეროვნული პოლიტიკისადმი ერთგულებას, რომელსაც თანმიმდევრულად ახორციელებს კომუნისტური პარტია.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გაერთიანებული საზეიმო სხდომის მონაწილენი ქართველი ხალხისა და რესპუბლიკის ყველა მშრომელთა სახელით მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს.

მთელი საბჭოთა ქვეყანა, მთელი მოწინავე კაცობრიობა აღნიშნავს ამ დღეებში დიად სამახსოვრო თარიღს: ასი წლის წინათ დაიბადა მარქსისა და ენგელსის რევოლუციური მოძღვრების გენიალური განმგრძობი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემქმელი, უდიდესი სოციალური რევოლუციის ხელმძღვანელი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებელი, საერთაშორისო მუშათა კლასის, ყველა მშრომელთა ბელადი და მასწავლებელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

ლენინის უკვდავი იდეები და საქმენი, მისი ცხოვრების დიადი გმირობა საბჭოთა ადამიანების, მთელი მსოფლიოს მშრომელების შთაგონებისა და ოპტიმიზმის დაუშრეტელი წყაროა.

საქართველოში რევოლუციური ბრძოლისა და სოციალიზმის მშენებლობის მთელი ისტორია ადასტურებს ლენინის მოძღვრების სისწორესა და სიცხოველეს. თავიანთი რევოლუციური მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე ქართველი ბოლშევიკები დაადგნენ ლენინურ გზას, რომელმაც უზრუნველყო საქართველოს მიწა-წყალზე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება, აყვავება და ბედნიერება.

საბჭოთა საქართველო მოკლე ისტორიულ ვადაში გახდა მაღალგანვითარებული მრეწველობის, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის, მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის რესპუბლიკა. მისი ქარხნები და ფაბრიკები უშვებენ ფოლადის მილებსა და სინთეზურ ბოჭკოს, ავტომობილებსა და ელმავლებს, ჩარხებსა და ზუსტ ხელსაწყოებს. საქართველოს წიაღიდან ვიღებთ მარგანეცსა და ქვანახშირს, ხოლო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში მოგვყავს ძვირფასი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურები — ჩაი, ციტრუსები, უურძენი, ტუნგი და სხვ. ახალი საწარმოო წარმატებებით ეგებებიან ლენინის ღირსშესანიშნავ იუბილეს საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკები. ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, ბედნიერი და მშვიდი გახდა საქართველოს მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის ცხოვრება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ჩვენი ხალხის ცხოვრება მჩქეფარე და ნათელი იყოს.

კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ახორციელებს ბრძნულ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, მტკიცე საძირკველი ჩაუყარა ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა ურღვევ მეგობრობას. ეს მეგობრობა, რომელიც წარმოიშვა ჯერ კიდევ სოციალისტური მშენებლობის პირველ წლებში, განმტკიცდა და გამოიწრთო დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში. ჩვენი სამშობლოს მოძმე ხალხთა მეომრების მხარდამხარ თავდადებით იცავდნენ ქართველი მეომრები ოკტომბრის დიად მონაპოვრებს, ფაშიზმთან გაფთრებულ ბრძოლებში ბოლომდე შეასრულეს თავიანთი მხედრული და მოქალაქეობრივი მოვალეობა. დღეს საბჭოთა რესპუბლიკების მძლავრი ოჯახი ხალხთა ჭეშმარიტი ძმობის მაგალითია, როგორიც ისტორიას არ ახსოვს. ხალხთა მეგობრობა გახდა საბჭოთა საზოგადოების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა, თვითეული საბჭოთა რესპუბლიკის აყვავების საწინდარი.

ვ. ი. ლენინის უკვდავ იდეებს განასახიერებს კომუნისტების საქმიანობა, მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ბრძოლა, სოციალიზმისა და კომუნიზმის განუწყვეტელი განვითარება, კაცობრიობის უძლეველი სოციალური პროგრესი. საბჭოთა ხალხი განამტკიცებს ინტერნაციონალურ სოლიდარობას სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან, საერთაშორისო მუშათა კლასთან, ეროვნული განთავისუფლებისათვის, მტკიცე მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებისათვის მებრძოლებთან. რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ამ ტიტანურ, კეთილშობილურ მუშაობაში, ადასტურებენ, რომ მზად არიან ბოლომდე იყონ ინტერნაციონალისტი — ლენინელები.

საქართველოს კომუნისტური პარტია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმია. მთელი თავისი საქმიანობით იგი ემსახურება დიდი ლენინის იდეების განხორციელებას, რაზმავს რესპუბლიკის მშრომელებს პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულებისათვის.

ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავის წინ საქართველოს კომუნისტები, რესპუბლიკის ყველა მშრომელნი უდიდეს მადლობას უძღვნიან კომუნისტურ პარტიას რომელიც მათ ლენინური გზით მიუძღვის გამარჯვებიდან გამარჯვებამდე. და პირობას აძლევენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ ყველაკი მთელი თავიანთი საქმეებითა და მიზნებით დაამტკიცებენ ლენინის, კომუნიზმის დროშადამი ერთგულებას.

ლენინის სახელი და საქმე მარად ცოცხალი იქნება!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომის მონაწილეები საგან

ლენინის მეამორიალი გაიხსნა

(დასასრული)

ხიმტკიცე და შეუდრეკლობა მარქსიზმის იდეური საფუძვლების დაცვაში, თუდამ შეძოქმედებითი მიდგომა რევოლუციური თეორიისადმი, მისი განუწყვეტელი განვითარება, უდიდესი ცოდნა, ორგანიზატორის ბრწყინვალე ტალანტი, განუყრელი კავშირი შრომელ ხალხთან — ყველა ამ თვისებით აღჭურვილი ჩაუდგა სათავეში ლენინი პარტიის გიგანტურ შუშაობას ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და მოწყობისათვის. ამ რევოლუციამ გაიმარჯვა. დიდმა ოქტომბერმა დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ერა.

ლენინის მძლავრი გონება და ორგანიზატორული გენია ახალი, უჩვეულო ძალით გამოვლინდა მაშინ, როცა რევოლუციის ბელადი სათავეში ჩაუდგა შუშათა და გლეხთა სოციალისტურ სახელმწიფოს.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევი ულიანოვსკში

16 აპრილს მოსკოვიდან ულიანოვსკში გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ლენინის მემორიალის გახსნაში.

ულიანოვსკი, 16 აპრილი. (საკდისი). დღეს მოსკოვიდან ულიანოვსკში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ლენინის მემორიალის გახსნაში.

ულიანოვსკის აეროპორტში ლ. ი. ბრეჟნევს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. შელეპინი, სკკპ ულიანოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ა. სკოჩილოვი, საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ვ. პ. ვასილიევი, საზოგადოებრივის წარმომადგენლები.

ლ. ი. ბრეჟნევს გულთბილად და გულითადად მიესალმნენ ულიანოვსკის მშრომელები.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ულიანოვსკიდან გაემგზავრა

16 აპრილს ულიანოვსკიდან მოსკოვში გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც აქ იყო ლენინის მემორიალური კომპლექსის საზეიმო გახსნასთან დაკავშირებით.

ულიანოვსკელმა მშრომელებმა გულთბილად და გულითადად გაეცალეს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

იმავე დღეს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვს დაბრუნდა. (საკდისი).

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევი ულიანოვსკში

16 აპრილს ულიანოვსკში გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ლენინის მემორიალის გახსნაში. — და მან პირნათლად გაუძლო ყოველივე ამას. რამდენი გაუკვალავი გზა უნდა აღმოვეჩინა ჩვენ, — და აღმოვაჩინეთ კიდეც. რამდენ ახალ, ურთულეს კითხვას გვისვამდა ცხოვრება, — და პასუხებიც გავეცით. მოკლე ისტორიულ ვადაში ჩვენმა საშშობლომ მოახდინა გიგანტური ნახტომი ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში, გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ. ეს არის საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვება. ეს არის ჩვენი პარტიის გამარჯვება, უკვდავი ლენინური მოძღვრების გამარჯვება.

ლენინის იდეები დღესაც ჩვენი უტყუარი კომპასია. კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული გეგმები, რომლებიც ჩვენმა პარტიამ შეიმუშავა, მთელი მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა ლენინური მოძღვრების განხორციელებაა. ყოველი წინგადადგმული ნაბიჯით სულ უფრო სრულად და ფართოდ ვლინდება ხალხის უშრეტი შემოქმედებითმ ძალები, რომლებიც ასე ურყევად სწამდა ლენინს.

საბჭოთა ხალხი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ახალი უდიდესი აღმავლობით ეგებება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს. მძლავრ ნაკადად გაიშალა საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება. თვითეულ დღეს მოაქვს ახალი ამბები შუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის შესანიშნავი შრომითი გამარჯვებების შესახებ.

ახალი მიღწევებით ეგებება ლენინის იუბილეს მისი მშობლიური ქალაქიც. ლენინის და — მარიამ ილიას ასული ოდესლაც წერდა: „ეს იყო... პატარა პროვინციული ქალაქი, მშვიდი და წყნარი. იქ არა ყოფილა ფაბრიკები და ქარხნები, არა ყოფილა ტრამვაი და კონკაც კი. სიმბირსკში იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო გაყვანილი რკინიგზა“.

როცა ახლა შესცქერი ულიანოვსკს, გგონია, თითქოს ეს სტრიქონები რომელიღაც სხვა ქალაქზე იყოს დაწერილი. ძველმა სიმბირსკმა სახე იცვალა. მარტო მისი სახელი როდი შეიცვალა. სოციალიზმმა თქვენი ქალაქი გადააქცია მსხვილ სამრეწველო და კულტურულ ცენტრად. ჩანს, რომ ულიანოვსკელებს ნამდვილად უყვართ თავიანთი ქალაქი, ამაყობენ ამ ქალაქით, ცდილობენ კიდევ უფრო მშვენიერი, კეთილმოწყობილი, თავიანთი დიდი თანამემამულის სახელის ღირსი გახადონ იგი. ისიც ჩანს, რომ თქვენ, ამხანაგებო, მზრუნველობით ეკიდებით ყველაფერს, რაც დაკავშირებულია ვლადიმერ ილიას-ძის ხსოვნასთან. დიდი, გულითადი მადლობა ამისათვის!

საბჭოთა ადამიანები ბედნიერი არიან და ამაყობენ იმით, რომ ლენინის მოძღვრება მარტო ჩვენს ქვეყანაში, ლენინიზმის საშშობლოში როდი იმარჯვებს. მას წარმატებით ახორციელებენ მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხები იგი გახდა საერთაშორისო შუშათა კლასისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის დროშა, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მძლავრი იდეური ძალა. მილიონობით რევოლუციური მებრძოლი ლენინიზმში გენიალური თეორეტიკოსი და მგზნებარე რევოლუციონერი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე გახდა.

ლენინმა შეძლო მეცნიერული სოციალიზმი გადაეტანა მილიონთა ყოველდღიური ცხოვრებისეული პრაქტიკის ენაზე. მისი ხელმძღვანელობით, მის მიერ შექმნილი პარტიის წინამძღოლობით საბჭოთა ხალხმა გულდაჯერებით დაიწყო წინსვლა სოციალიზმის გზით.

უკვდავი შრომითი და მხედრული გმირობა ჩაიდინა ჩვენმა ხალხმა, როცა მიდიოდა ამ გზაზე ლენინის დროშით. რამდენი მძიმე განსაცდელი ხვდა წილად სოციალიზმის სამშობლოს. — და მან პირნათლად გაუძლო ყოველივე ამას. რამდენი გაუკვალავი გზა უნდა აღმოვეჩინეთ ჩვენ, — და აღმოვაჩინეთ კიდეც. რამდენ ახალ, ურთულეს კითხვას გვისვამდა ცხოვრება, — და პასუხებიც გავეცით. მოკლე ისტორიულ ვადაში ჩვენმა საშშობლომ მოახდინა გიგანტური ნახტომი ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში, გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ. ეს არის საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვება. ეს არის ჩვენი პარტიის გამარჯვება, უკვდავი ლენინური მოძღვრების გამარჯვება.

ლენინის იდეები დღესაც ჩვენი უტყუარი კომპასია. კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული გეგმები, რომლებიც ჩვენმა პარტიამ შეიმუშავა, მთელი მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა ლენინური მოძღვრების განხორციელებაა. ყოველი წინგადადგმული ნაბიჯით სულ უფრო სრულად და ფართოდ ვლინდება ხალხის უშრეტი შემოქმედებითმ ძალები, რომლებიც ასე ურყევად სწამდა ლენინს.

საბჭოთა ხალხი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ახალი უდიდესი აღმავლობით ეგებება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს. მძლავრ ნაკადად გაიშალა საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება. თვითეულ დღეს მოაქვს ახალი ამბები შუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის შესანიშნავი შრომითი გამარჯვებების შესახებ.

ახალი მიღწევებით ეგებება ლენინის იუბილეს მისი მშობლიური ქალაქიც. ლენინის და — მარიამ ილიას ასული ოდესლაც წერდა: „ეს იყო... პატარა პროვინციული ქალაქი, მშვიდი და წყნარი. იქ არა ყოფილა ფაბრიკები და ქარხნები, არა ყოფილა ტრამვაი და კონკაც კი. სიმბირსკში იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო გაყვანილი რკინიგზა“.

როცა ახლა შესცქერი ულიანოვსკს, გგონია, თითქოს ეს სტრიქონები რომელიღაც სხვა ქალაქზე იყოს დაწერილი. ძველმა სიმბირსკმა სახე იცვალა. მარტო მისი სახელი როდი შეიცვალა. სოციალიზმმა თქვენი ქალაქი გადააქცია მსხვილ სამრეწველო და კულტურულ ცენტრად. ჩანს, რომ ულიანოვსკელებს ნამდვილად უყვართ თავიანთი ქალაქი, ამაყობენ ამ ქალაქით, ცდილობენ კიდევ უფრო მშვენიერი, კეთილმოწყობილი, თავიანთი დიდი თანამემამულის სახელის ღირსი გახადონ იგი. ისიც ჩანს, რომ თქვენ, ამხანაგებო, მზრუნველობით ეკიდებით ყველაფერს, რაც დაკავშირებულია ვლადიმერ ილიას-ძის ხსოვნასთან. დიდი, გულითადი მადლობა ამისათვის!

საბჭოთა ადამიანები ბედნიერი არიან და ამაყობენ იმით, რომ ლენინის მოძღვრება მარტო ჩვენს ქვეყანაში, ლენინიზმის საშშობლოში როდი იმარჯვებს. მას წარმატებით ახორციელებენ მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხები იგი გახდა საერთაშორისო შუშათა კლასისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის დროშა, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მძლავრი იდეური ძალა. მილიონობით რევოლუციური მებრძოლი ლენინიზმში პოულობს პასუხს ცხოვრების ყველაზე საჭირბოროტო კითხვებზე. ეთაობრება ლენინს, ლენინის მახედვით აშენებს ახალ საზოგადოებას. აი რატომ გახდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი მშრომელთა დიდი ინტერნაციონალური დღესასწაული.

აქ, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების ადგილას, აღმართული ლენინის მემორიალი ღირსეულად უკვდავყოფს მის ხსოვნას. ეს შესანიშნავი ნაგებობა ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოებია. ყველა საფუძველი გვაქვს სულითა და გულით მიეულოცოთ არქიტექტორებსა და მშენებლებს, მოკვდაკეებსა და მხატვრებს ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ამ შესანიშნავი ძეგლის წარმატებით დამთავრება.

ულიანოვსკში ლენინის მემორიალის გახსნით თითქოს ვიწყებთ დიადი იუბილეს საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს მთელ ჩვენს ქვეყანაში. ეს მხოლოდ დღესასწაული როდი იქნება. ეს იქნება ხალხის ანგარიში ლენინისადმი, პროგრესული კაცობრიობის ისტორიული პატაკი მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლისადმი. ეს იქნება ჩვენი ხალხის ფიცი, რომ ერთგულად დაიცავს ლენინიზმს — ფიცი, რომ იცხოვრებს, იბრძოლებს, და იშრომებს ლენინურად.

კაცობრიობის აწმყო და მომავალი წარმოუდგენელია ულენინოდ და ულენინიზმოდ. ლენინური იდეების შუქი გზას უნათებს მთელ კაცობრიობას ახალი გამარჯვებებისაკენ, ახალი ისტორიული მიღწევებისაკენ, ექსპლოატაციისა და ჩაგვრის სრული მოსპობისაკენ, სოციალიზმის საქმის მსოფლიო გამარჯვებისაკენ. ჩვენ ვიცით, რომ ეს გზა იოლი არ იქნება. ჩვენი მტრები არ ზოგავენ არც ძალღონეს, არც სახსრებს, რომ შეაფერხონ რევოლუციური პროცესის წინსვლა. ბევრი მეცადინეობა დაგვჭირდება, რომ მივაღწიოთ სრულ და საბოლოო გამარჯვებას. მაგრამ მტკიცედ ვიცით, რომ ამ გამარჯვებას მივაღწევთ.

მივაღწევთ იმიტომ, რომ არსებობს ჩვენი ქვეყანა — ლენინის ქვეყანა, იმიტომ, რომ არსებობს სოციალიზმის მძლავრი სამყარო — საზოგადოებრივი პროგრესის საიმედო ბასტიონი.

ამ გამარჯვებას მივაღწევთ იმიტომ, რომ უსაზღვროა მთელი მსოფლიოს მშრომელი ადამიანების მტკიცე გადაწყვეტილება მოიპოვონ სრული თავისუფლება.

მივაღწევთ იმიტომ, რომ ლენინის მიერ შექმნილმა კომუნისტთა მსოფლიო არმიამ მტკიცედ იცის რისთვის იბრძვის და წმიდად იცავს რევოლუციის იდეალებისადმი ერთგულებას.

ჩვენ სრულ გამარჯვებას მივაღწევთ იმიტომ, რომ ჩვენთან არის ლენინი, მისი იდეები და ოცნებები, იმიტომ, რომ აღგაფროთოვნებს ლენინის ძლევამოსილი დროშა!

და რა ქარიშხალი და ბრძოლებიც უნდა მოელოდეთ რევოლუციონერებს — ლენინის სახე, მიიი უკვდავი იდეები ყოველთვის იქნება მათთვის შთაგონების მარად ცოცხალი წყარო.

ხოლო როდესაც დედამიწაზე არ დარჩება არც ერთი, თუნდაც პატარა კუნძული, რომ იქ იყოს ექსპლოატაცია, რომ ადამიანი იყოს მონა, — მაშინაც, იმ ნაოელ ეპოქაშიც, მადლიერი კაცობრიობა სათუთად შეინახავს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნას — ადამიანისას, რომელმაც თავისი გენიით, თავისი შრომიდ პირველი ფურცელი ჩაწერა ახალი საზოგადოების ისტორიაში, სწორედ იმ საზოგადოებისა, რომელშიც მშრომელი ადამიანები ხაუკუნეების მანძილზე ოცნებობდნენ.

ჩვენ არ ვიცით — [illegible] — რა. გორ შეიცვლება იმ დროისათვის სული [illegible], [illegible] ახალი სახწაულები მოხდება ჩვენი [illegible] [illegible] [illegible] ვიცით: მაშინაც თვალ[illegible] [illegible] [illegible] შენობაში ივლიან ადამიანები მსოფლიოს ჩვენს ეუთხიდან. აქ გამოხატავენ ისინი თავიანთ მადლიერებას ბედნიერი მომავლისათვის. ისინი მოვლენ იმისათვის, რომ კვლავ და კვლავ დაფიქრდნენ თავიანთ წარსულსაც, თავიანთ მომავალსაც. ისინი მოვლენ, რათა დაეწაფონ შთაგონების წყაროს, რომ ახალ-ახალი გმირობა ჩაიდინონ ადამიანის დიდებისათვის, შრომისა და მშვიდობის მარადიული გამარჯვებისათვის.

ამხანაგებო! ლენინის დროშით, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მიდის წინ, გზას უკვალავს მთელ კაცობრიობას უმაღლესი, კომუნისტური ცივილიზაციისაკენ. ეს მისი დაგვაკისრა თვით ისტორიამ, გვიანდერძა ლენინმა. და ჩვენს ხალხს, ჩვენს პარტიას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ბოლომდე შეასრულონ ეს მისია.

დიდება დიდ ლენინს! დაე მარად ენთოს მილიონობით ადამიანის გულში ლენინის იდეების წმიდათა წმიდა ცეცხლი!

გაუმარჯოს ჩვენს ქვეყანას — ლენინის სამშობლოს, ლენინიზმის სამშობლოს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ლენინის პარტიას!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. სიტყვის დროს ბევრჯერ გაისმა მქუხარე ხანგრძლივი ტაში.

* * *

შემდეგ გამოვიდნენ ულიანოვსკის ვოლოდარსკის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის მწესვი, სოციალისტური შრომის გმირი ა. ნ. სიმანსკი, ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. პ. ალეძსეევა, მოსკოველ მშრომელთა წარმომადგენელი, „მოსმშენის“ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი მ. ა. ნოვაჩეკი, რუსეთის სფსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი მ. ი. ნიკიტინა და სკკპ წევრი 1913 წლიდან ბ. ა. ფოკეევი.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად, დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

გამოვხატავთ რა ოლქის მშრომელთა გრძნობებსა და ფიქრებს, ნათქვამია წერილში, პირობას ვაძლევთ სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს და შშმ-ბლიურ საბჭოთა მთავრობას, რომ ლენინის ორდენსანსი ულიანოვსკის ოლქის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდებიან კომუნისტური პარტიის გარშემო და ძალ-ღონეს არ დაიშურებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

...ეღირს პარტიული ქიმნი „ინტერნაციონალი“.
ლენინის მემორიალური კომპლექსი გაიხსნა!

* * *

საზეიმო კრების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. (საკდისი).

ლენინური იდეების ჩაუქრობელი შუქი

(გაგრძელება)

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებამ ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, შრომითი და პოლიტიკური აქტივობის უდიდესი აღმავლობა გამოიწვია. ასიათასობით მშრომელი ეზიარა უმდიდრეს ლენინურ იდეურ მემკვიდრეობას, უფრო ღრმად და სერიოზულად სწავლობს ლენინის შრომებს, რევოლუციურ თეორიას, ყველგან იმართება ლენინური კითხვა, მოხსენებანი, ლექციები რევოლუციის ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ქვეყნდება ვ. ი. ლენინის ნაშრომები და შრომები ლენინის შესახებ.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის მაღალი პატივი ხვდა წილად ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბევრ კოლექტივსა და მოწინავეს. საწარმოების, ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, ჯარის ნაწილების 227 კოლექტივი, რომლებმაც განსაკუთრებით ისახელეს თავი, დაჯილდოებულია სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური ლენინის საიუბილეო საპატიო სიგელებით. ლენინის იუბილე აღინიშნა სრულიად საკავშირო კომუნისტური შაბათობით, რომელიც ახალ შესანიშნავ ფურცლად შევა ჩვენი ქვეყნის შრომითს მატიანეში. ლენინის საქმისადმი საქართველოს ქალიშვილთა და ჭაბუკთა ერთგულების მკაფიო გამოხატულება იყო მათი აქტიური მონაწილეობა ისტორიული თარიღისადმი მიძღვნილ სრულიად საკავშირო კომკავშირულ კრებაში. ამ დღეებში მოეკალრედ გაისმის ჩვენი ჭაბუტების, პროსპიაკოისებისა და დრამატურგების შთაგონებული სიტყვა ლენინის შესახებ იქმნება ახალი მკაფიო ტილოები, მუსიკის, ხალხური შემოქმედების ნაწარმოებნი, რომლებიც გვიხატავენ ილიჩის ძვირფას სახეს.

ამასთან ლენინის იუბილეს საზეიმო დღეს ჩვენი პარტია და ხალხი თავისი ბელადის მტკიცე განაწესით მთელ ყურადღებას უთმობენ ჯერ კიდევ გადაუჭრელ ამოცანებს, მთელ ძალღონეს და ენერგიას ახმარენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმებისა და განსაკუთრებით 1969 წლის დეკემბრის პლენუმის წინასწარდასახულობათა შესრულებას, რომელმაც მოგვიწოდა გადაჭრით ავამაღლოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, გავადიდოთ მთელი სახალხო მეურნეობის ინტენსიურობა.

ეს ამოცანები მთელი სისრულით და კონკრეტულობით განსაზღვრულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში ხარკოველ ტრაქტორშენებელთა დღესასწაულზე და ხარკოვის ოლქისათვის ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე. ამ ამოცანებს მოგვაგონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სპრძოლო სპირეკლმაისო მოწოდებანი, რომლებიც საბჭოთა ადამიანებს რაზმავენ ახალ შემოქმედებით წარმატებათა მისაღწევად კომუნიზმისათვის.

... დღის 12 საათია. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზის ტრიბუნებს ზემოთ მოჩანს ყვავილებით შემკული ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბარელიეფი. აქეთ-იქით წარწერილია ისტორიული თარიღები: 1870-1970.

ტრიბუნაზე არიან რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელნი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და კანდიდატები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები.

სხდომათა დარბაზში არიან პარტიის ვეტერანთა ჯგუფი, რესპუბლიკურ და საქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების ჯგუფი, ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების ჯგუფი, ამერიკაკავკასიონის ფოთელდრეშოვანი სამხედრო ოლქის წარმომადგენელნი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომა, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი, შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. ს. ძოწენიძემ.

ეღირს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნები.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის პირველი მდივნის ბ. ა. ანდრონიკაშვილის წინადადებით შეკრებილთა ტაშის გრიალში სხდომის საპატიო პრეზიიდუმში ერთხმად ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს.

სიტყვა მოხსენებისათვის „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი“ ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ბ. პ. მეჟპუპანაძს.

მოხსენების შემდეგ დაიწყო გამოსვლები.

პარტიის ვეტერანთა ჯგუფის სახელით სიტყვას ამბობს სკკპ წევრი 1917 წლიდან დ. ვ. ლომაძე.

ამხანაგებო!

მე წილად მხვდა ბედნიერება დღევანდელ საზეიმო დღეს, მიძღვნილს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემქმნელის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, საერთაშორისო შუშათა კლასის, ყველა შრომელთა ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი, მოგესალმოთ ძველი ქართველი ბოლშევიკების სახელით, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოში კომუნისტური საზოგადოების შშენებლობაში.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მშრომელებმა დიდი რუსი ხალხის, გმირი წითელი არმიის დახმარებით დაამხეს საძულველი მენშევიკური მთავრობა და დამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

რეგოლუციის გენიისა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით აღფრთოვანებული წერდა: „ვადაეცით ქართველ კომუნისტებსა და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი“.

ჩვენ, ბოლშევიკთა ძველი გვარდიის წარმომადგენლები, ვამაყობთ იმით, რომ შშიბლიური საქართველოდან რევოლუციის სათავეებთან იდგნენ და მარქსისტულ-ლენინური იდეების გამარჯვებისათვის აქტიურ ბრძოლას ეწოდნენ ილსერ ბესაროინის-ძე სტალინი, მიხა ცხალაია, ლადო კეცხოველი, ალექსანდრე წულუკიძე, ფილიპე მახარაძე, აბელ ენუქიძე და სხვები.

სიამაყით ვკავსებს ლენინის იდეებისათვის თავდადებული მუშა-რევოლუციონერების ზაქარია ჩოდრიშვილის, მიხო ბოჭორიძის, ვანო სტურუას, მიშა დავითაშვილის, ძმების ალექსანდრე და გალაქტიონ ვაშაძეების და სხვათა ნათელი სახეები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ამავე დროს მარქსიზმ-ლენინიზმის ინტერნაციონალური იდეების გამარჯვებაც იყო, რომელსაც სჭედდნენ ლენინური იდეებით შთაგონებული ქართველი ბოლშევიკები, რუსი და სხვა ხალხების ძმური დახმარებითა და მხარდაჭერით.

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერეს საქართველოში მცხოვრებმა რუსმა სოციალ-დემოკრატებმა, რევოლუციონერებმა თ. აფანასიევმა, ს. ალილუევმა, ნ. კოზერენკომ, ვ. კურნაფოვსკიმ, მიხეილ კალინინმა და სხვებმა.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი უდიდეს მზრუნველობას იჩენდა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურისადმი, სისტემატურ დახმარებას უწევდა ქართველ კომუნისტებს სახელმწიფოებრივი და პარტიული ხელმძღვანელობის განხორციელებაში. ლენინმა ქართველ კომუნისტებს დაუსახა ყველა ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა ნათელი პროგრამა, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასა და სოციალისტური მშენებლობის წარმატებას საქართველოში. ამ პროგრამამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ლენინის საღირეკტივო წერილებში საქართველოს რევოლუციური კომიტეტისა და კავკასიელი კომუნისტებისადმი.

ვ. ი. ლენინის წინასწარდასახულობათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა დარაზმვის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს მარქსიზმ-ლენინიზმის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგულმა კომუნისტებმა, როგორიც იყვნენ სერგო ორჯონიკიძე, სერგეი კიროვი, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, სილიბისტრო თოდრია, შამშე ლეკვაკა, თენგიზ ყენენტი, სამა ვეგეტკორი, მიხა კახიანი, ლავრენტი ბერიშვილი, ნიკო კიკნაძე, შალაქია ტოროშელიძე, არაქელ ოქუაშვილი, ბესო კვირკელია, ლევან ღოღობერიძე, სამსონ მამულია, ნიკოლოზ სვანიძე, ნესტორ ლაკობა, გიორგი ათაბეგოვი, ეფრემ ემბა, სევერიან კუბალიანიშვილი, ისაკ ფვანია, ალექსანდრე ჯაბიევი, ვლადიმერ აბაევი, ნიკოლოზ გაგლოევი, ოლდა პლიიევა და სხვები, რომელთა უანგარო შრომამ განაპირობა რესპუბლიკაში სოციალისტური მშენებლობის წარმატება, საქართველოს გადაქცევა მძლავრი სოციალისტური მრეწველობის, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის, დიდად განვითარებული სოციალისტური კულტურის რესპუბლიკად.

ბოლშევიკთა ძველი გვარდიის მონაპოვარი ღირსეულად ჩაიბარა ლენინურ ტრადიციებზე აღზრდილმა კომუნისტთა შემდგომმა თაობამ, რომელიც დღეს მტკიცედ მიგვიძღვის წინ, ლენინის მიერ დასახული გზით. ლენინის საქმე საიმედო ხელშია. ამის ბრწყინვალე დადასტურებაა უდიდესი მიღწევები, რომლებითაც საქართველოს რესპუბლიკა ეგებება დიდი ბელადის დაბადების 100 წლისთავს.

ჩვენს რესპუბლიკაში ერთ ძმურ ოჯახად ცხოვრობენ და შრომობენ ქართველები და რუსები, აზერბაიჯანელები და სომხები, უკრაინელები და ებსტონელები, მრავალი სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევ მეგობრობას მკაფიოდ გამოხატავს ის, რომ ისინი ერთად ახორციელებენ კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ გეგმებს

ლენინის იდეები და საქმენი უკვდავია, მისი ცხოვრების დიადი გმირობა შთაგონების დაუშრეტელი წყაროა საბჭოთა ადამიანებისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის. ლენინიზმის იდეები გადაიქცა უძლეველ მატერიალურ ძალად. ლენინის იდეები მძლავრ ბაგელებას ახდენენ მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე. ისინი აკავშირებენ და რაზმავენ უფარფოს მასებს მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის საბრძოლველად.

გაუმარჯოს ლენინიზმის უკვდავ იდეებს!

ტრიბუნაზეა სოციალისტური შრომის გმირი, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმაგალსამშენებლო ქარხნის ზეინკალი შ. ა. პაპინაშვილი.

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ საქართველოს მუშათა კლასის სახელით მხურვალე სალამი გადავცე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომის მონაწილეებს.

საბჭოთა ადამიანები, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, ქალაქისა და სოფლის მშრომელები, ჩვენი სამაყო ინტელიგენცია მაღალი პატრიოტული შეგნებით, უსაზღვრო სიყვარულით და პატივისცემით აღნიშნავენ პროგრესული კაცობრიობის ნათელ დღესასწაულს — მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ეს არის ჭეშმარიტად გრანდიოზული ზეიმი.

საბჭოთა ხალხთან და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მშრომელებთან ერთად კომუნისტური პარტიის შემქმნელისა და პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის იუბილეს აღნიშნავენ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. სწორედ ლენინის ნათელი იდეები, ლენინის დროშა მიუძღვის წინ ამ ქვეყნების რევოლუციურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას იმპერიალისტური ჩაგვრისა და კოლონიალიზმის მძიმე უღლის წინააღმდეგ.

ლენინის დროშა მიუძღოდა წინ ჩვენს მამებსა და პაპებს ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში. საქართველოში პირველად ჩვენთან, ბელადის სახელობის რაიონში, ამერიკაკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში იშვა საქართველოს მუშათა კლასის პირველი რევოლუციური ტრადიციები, აქ, ჩვენთან, რაზმავდნენ მშრომელებს სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად ლენინის უახლოესი თანამებრძოლები — სტალინი, კუნრატოვსკი, კალინინი, კეცხოველი, ჩოდრიშვილი და სხვა მრავალი მგზნებარე რევოლუციონერი.

ლენინის იდეებით შთაგონებულმა საქართველოს მშრომელებმა 1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმიის ძმური დახმარებით, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს დედაქალაქ თბილისში გამარჯვების წითელი დროშა აფრიალეს.

ამ გამარჯვებით დაიწყო ახალი ერა საქართველოს ისტორიაში, მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

ლენინური გეგმით განვითარ

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტში

ამა წლის 14-16 აპრილს აკადემიკოს დ. ვ. სკობელცინის თავმჯდომარეობით გაიმართა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის სხდომა.

კომიტეტმა განიხილა შემოსული წინადადებანი 1968-1969 წლების საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ და მიიღო დადგენილება ამ საკითხზე.

ღირსშესანიშნავი თარიღის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის გამო კომიტეტის წევრებმა გულითადად მიულოცეს საბჭოთა ხალხს.

დადგენილება

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტისა

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ 1968-1969 წლების საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოთ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიები:

ლუდვიკ სვოგოდას — სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს (ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა)

ლაინუს პოლინგს — მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს (ამერიკის შეერთებული შტატები)

შაფი აჰმედ ელ-შეიხს — საზოგადო მოღვაწეს (სუდანი)

იაროსლავ ივაშკევიჩს — მწერალს, საზოგადო მოღვაწეს (პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა)

აკირა ივაის — საზოგადო მოღვაწეს (იაპონია)

ბერტილ სვანსტრემს — ჟურნალისტს, საზოგადო მოღვაწეს (შვეცია)

ჯალედ მოჯი ედ-დინს — საზოგადო მოღვაწეს (არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა).

მოსკოვი, 1970 წლის 16 აპრილი.

ლუდვიკ სვოგოდა. ლაინუს პოლინგი. შაფი აჰმედ ელ-შეიხი. იაროსლავ ივაშკევიჩი. აკირა ივაი. ბერტილ სვანსტრემი. ჯალედ მოჯი ედ-დინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინური იდეების ჩაუქრობელი შუქი

(დასასრული)

ამ საზეიმო დღეს ჩვენ აღვუთქვამთ კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ კვლავაც ვიქნებით ერთგული ლენინელები, სოციალიზმის მონაპოვართა საიმედო დამცველნი, რომ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პირადი შემადგენლობა და მესაზღვრე მეომრები მუდამ მზად არიან შეასრულონ სამშობლოს ბრძანება — გაანადგურონ ყოველი აგრესორი.

დიე მარად ცოცხლობდეს ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელი!

დიდება საბჭოთა კავშირს — ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მეგობრობისა და ბედნიერების ბურჯს!

დიდება დიდ საბჭოთა ხალხს — მეომარ ხალხს, შემოქმედ ხალხს!

დიდება, დიდება, დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს ლენინური გზით!

სიტყვა ეძლევა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჯ. პატიაშვილს.

ამხანაგებო!

საბჭოთა ახალგაზრდობა უდიდესი აღმავლობით ეგებება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. ეს აღმავლობა ყველასათვის გასაგებია. ახალგაზრდათა რევოლუციური მოძრაობის სათავეში ხომ ილიჩი იდგა. კომკავშირის გმირული ისტორია მჭიდროდ დაკავშირებულია მის პირად მონაწილეობასთან, მის გულთბილ, მამობრივ ზრუნვასა და მხარდაჭერასთან.

ლენინის სიტყვა კომკავშირის III ყრილობაზე, რომელიც ნახევარი საუკუნის წინათ წარმოითქვა, ახალგაზრდა კომუნისტთა მრავალი თაობის ცხოვრებისა და ბრძოლის პროგრამა გახდა. ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით კომკავშირი მტკიცედ მიდიოდა და ახლაც მიდის დიდი ბელადის მიერ დასახული გზით.

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ქართველმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა საქართველოს ალკკ XXVIII ყრილობაზე პარტიას უპატაკეს, რომ ყოველთვის მზად არიან მხარში ამოუდგნენ მას ყველა საქმეში, შრომაში, მშენებლობასა და შემოქმედებაში.

ამ ყრილობამ, რომლის ტრიბუნაზე გამოდიოდნენ საუკეთესონი საუკეთესოთა შორის, ისინი, ვისი შრომა და ცხოვრებაც თამამად შეგვიძლია მაგალითად დავუსახოთ ახალგაზრდობას, ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ საქართველოს კომკავშირელთა ნახევარმილიონნიანი გვარდიის სახით პარტიას ჰყავს ერთგული თანაშემწე და ბურჯი, რომ ჩვენს მამა-პაპებს ამაოდ არ გაუღიათ მსხვერპლი და ახალი სახელმწიფოსა და საზოგადოების შექმნის ესტაფეტა ღირსეულთ ჩაბარეს.

საქართველოს ახალგაზრდობა არასოდეს არ ყოფილა ესოდენ მტკიცედ, ესოდენ მონოლითურად შეკავშირებული კომკავშირის, პარტიის გარშემო, და ეს ბუნებრივია, რადგან კომკავშირმა დარაზმა მთელი თაგისი ძალები მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, აგრეთვე საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ჯერ კიდევ საქართველოს კომკავშირის XXVII ყრილობაზე გამოცხადდა ქართველი ახალგაზრდობის საბრძოლო და შრომითი პროგრამა — „ლენინური ორწლეული“. ამ პროგრამაში ჩაქსოვილი იყო ყოველივე საუკეთესო, ახალგაზრდობის ყველა მისწრაფება, სურვილი, მიზანი. მოქმედ „ლენინურ ორწლეულს“ ორგანულად შეუერთდა „ლენინური ჩათვლები“, რომლებიც გადაიქცა ჩვენი თაობის სიმწიფის დათვალიერებად.

დღეს ჩვენ სიხარულით ვუპატაკებთ პარტიას, რომ ლენინური ჩათვლების ჩაბარებისას თავი არ შეგვირცხვენია, ხოლო „ლენინური ორწლეული“ ისე შევასრულეთ, როგორც ეს შეშვენის საქართველოს გმირ კომკავშირს. რომლის მატიანეში ბევრი ნათელი ფურცელია დაშრობილი კოლხიდა და ციტრუსების პლანტაციები, ჭიათურისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურის დამკვრელური კომკავშირული მშენებლობები. როგორც შეშვენის კომკავშირს, რომლის რიგებში აღიზარდნენ დიმიტრი ბარათაშვილი და დალი წიგნაძე, ნონა გაფრინდაშვილი და ელისო ვირსალაძე, ნანული ჩერქეზიშვილი და ლიანა ისაკაძე, ვინარი სხულუხია და ნაირა გოგატაძე; კომკავშირს, ვის სახელსაც ღირსეულად ატარებდნენ შოთა გამცემლიძე და თინა იოსებიძე, ზოია რუხაძე და ოთარ კაპანაძე, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ჩვენს ბედნიერებას. ჩვენ ვალდებული ვართ ვზრდიდეთ ახალგაზრდობას ამ გმირული ტრადიციებით, მით უმეტეს, რომ ვიეტნამსა და ახლო აღმოსავლეთში ჯერაც მძვინვარებს ომის ხანძარი, ჯერ კიდევ იგრძნობა ფაშიზმის მყრალი სუნთქვა.

ამ ბოლო ორ წელიწადში რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციამ ბევრი რამ გააკეთა ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის დარგში: ეწყობოდა მასობრივი ლაშქრობანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში, იქნებოდა საბრძოლო დიდების მუზეუმები, კუთხეები და ოთახები, იდგმებოდა ობელისკები შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად.

ღირსეულ მამებს ჰყავთ ღირსეული მემკვიდრენი — ჩვენი სამშობლოს ძლიერება და იმედი.

დღეს ჩვენ შეგვიძლია თამამად ვილაპარაკოთ ჩვენი ქალიშვილებისა და ჭაბუკების უმაგალითო შრომითს გმირობაზე.

შესანიშნავად იმუშავეს მრეწველობის სხვადასხვა დარგში დასაქმებულმა კომკავშირელებმა, ჩვენმა მეჩაიეებმა და მევენახეებმა. „შრომითი საჩუქრები ლენინის იუბილეს“ — ეს დევიზი განსაზღვრავდა კომკავშირელთა ყოველდღიურ მუშაობას.

ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება ისტორიაში პირველთ დაგვეწყო კომუნისტური საზოგადოების ნათელი შენობის აგება, და ეს ბედნიერება მოგვანიჭა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ. მადლობელი ვართ ნდობისათვის, მადლობელი ვართ ბედნიერებისათვის, ნათელი მომავლისათვის, რომლის შემოქმედნი თქვენთან ერთად ჩვენც ვიქნებით.

კომუნიზმი მსოფლიოს სიჭაბუკეა და იგი ახალგაზრდებმა უნდა აშენონ. და ჩვენ, საქართველოს ახალგაზრდობა, ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი, ვფიცავთ ლენინის ძვირფას სახელს, რომ გავამართლებთ ამ ნდობას.

გაუმარჯოს საქართველოს კომკავშირს!

გაუმარჯოს ბრძნულ კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დარბაზი მხიარული ხმებით ივსება, მღერიან ბავშვები, ესენი არიან საქართველოს პიონერები და მოსწავლეები, ჩვენი მომავალი, რომლებისთვისაც ბედნიერ ცხოვრებას ბედდა დიდი ბელადი. ისინი მოვიდნენ, რათა თავისი უსაზღვრო სიყვარული გამოთქვან მისადმი. მადლიანი ქართული მიწის ყვავილთა თაიგულების ურნულება მოეფინა დარბაზს. ბავშვები კითხულობენ ლენინის გენიისადმი მიძღვნილ ქართველი, პოეტების ლექსებს, რომლებშიც აღუთქვამენ ბელადს, რომ იცხოვრებენ, ისწავლიან, იბრძოლებენ ისე, როგორც მან უანდერძა ზეიმურად ღღერს პიონერთა ფიცი. ვფიცავთ, ამბობენ ბავშვები, ღირსეულად ვატართო ჩვენს დიდი სამშობლოს მოქალაქის მაღალი წოდება. ვფიცავთ მთელი ჩვენი ძალღონე, მთელი ენერგია მოვახმაროთ კომუნიზმის მშენებლობას,. შეგამოწმოთ მთელი ჩვენი საქმენი ლენინის მიხედვით.

თავმჯდომარე ბ. ს. ძოწენიძე აცხადებს, რომ საზეიმო სხდომის პრეზიდიუმის სახელზე მიღებულია მრავალი დეპეშა საწარმოებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან, კოლმეურნეობებიდან და მშენებლობებიდან, რომლებშიც მათი კოლექტივები მადლობას უძღვნიან პარტიასა და მთავრობას ლენინის საიუბილეო საპატიო სიგელებით დაჯილდოებისათვის.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. მისალმების ტექსტი წაიკითხა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ი. ლოლაშვილმა.

საზეიმო სხდომამ მკაფიოდ დაადასტურა ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება თავიანი ბელადისა და მასწავლებლისადმი. ამიტომ იყო, რომ დღეს წარმოითქვა ესოდენ გულშიჩამწვდომი და გულწრფელი, მეზნეობარე და ამაღელვებელი მადლობის სიტყვები ადამიანისადმი, რომლის სახელითაც დაიწყო ახალი ერა მთელი კაცობრიობის ცხოვრებასა და ისტორიაში, ქართველ ხალხს მოუტანა თავისუფლება და ბედნიერება.

ლენინის იდეები მარად იქნება კომუნიზმისათვის ახალ შემოქმედებითს მიღწევათა დაუშრეტელი, ცხოველმყოფელი წყარო!

საზეიმო სხდომის მონაწილეთა ფეხზე ამდგარი დიდი აღფრთოვანებით მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

• • •

ამავე დღეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა დიდი კონცერტი. სცენის სიღრმეში დგას ყვავილებით მორთული ვ. ი. ლენინის პორტრეტი. ბელადის ყველასათვის ნაცნობი და საყვარელი ღიმილი, მომავლის განმჭვრეტი გამოხედვა...

ეს მომავალი იმ გარდაქმნებშია, რომლებმაც ძირფესვიანად შეცვალეს ქართველი ერის ცხოვრება. და ერი ადიდებს თავის ბელადს, იდიდე, იდიდე, იდიდე მარად! ასე იწყება კომპოზიტორ რ. ლაღიძის „სიმღერა ლენინსა“, რომელიც შეასრულეს საქართველოს სახელმწიფო კაპელამ და ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გუნდმა. ეს არის საგალობელი მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის სახელოვანი 100 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად.

იშვიათია ისეთი საბჭოთა თუ უცხოელი პოეტი, რომ არ შთაგონებინოს ლენინის სახეს და აი სცენაზე გაისმის ვლადიმერ მაიაკოვსკის ლექსები „ვ. ი. ლენინი“ და „საუბარი ამხანაგ ლენინთან“, ალალაკტიონ ტაბიძის „რევოლუციური საქართველო“. ეს, შეიძლება ითქვას, საუკეთესო ლექსებია ბელადზე. შთამბეჭდავად წაიკითხეს ეს ლექსები რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობებმა მ. თავაძემ და ტ. ყველაიძემ, რუსეთის სფსრ დამსახურებულმა არტისტმა ე. ბაიკოვსკიმ.

ვ. ი. ლენინის შიერ შექმნილი კომუნისტური პარტია მთელი მსოფლიოს ხალხთა თავისუფლების, თანასწორობის, ძმობის სიმბოლო, ყოველივე პროგრესულის სიმბოლო გახდა. პარტია და ლენინი ტყუპები, ძმები არიან — აი რატომ შეასრულეს ასეთი აღფრთოვანებით საქართველოს სახელმწიფო კაპელამ და ოპერის თეატრის წამყვანმა სოლისტებმა რ. ლაღიძის სიმღერა პარტიაზე.

დიდებულად ეღერდა რ. ლაღიძის კანტატა „ზოაბიჯუბს ოქტომბერი“, რომელიც შეასრულეს საქართველოს სახელმწიფო კაპელამ და სოლისტმა — საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა რ. კაკაბაძემ. როცა კაცი ზეიმობს, როცა მხიარულად არის, მას მუდამ გვერდით ჰყავს ძმები, და აი, დიდი იუბილეს — ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მქადაგებლის იუბილეს დღესასწაულობისათვის ქართველებთან სტუმრად ჩამოვიდნენ ძმები, მეზობლები — სომხები და აზერბაიჯანელები. სომხეთის სსრ დამსახურებულმა არტისტმა, მუსორგსკის სახელობის საკავშირო კონკურსის ლაურეატმა ლ. არუთინიანმა იმღერა ლეონორას არია ვერდის ოპერიდან „ბედის ძალა“, აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტმა ლ. იმანოვმა შეასრულა ქერ-ოღლის არია ჰაჯიბეკოვის ოპერიდან „ქერ-ოღლი“.

„ჩვენ არასოდეს არ გვინახიხარ, მაგრამ გვსურს შენნაირი ვიყოთ“, — მღერიან საიუბილეო კონცერტის ყველაზე ნორჩი მონაწილენი — პიონერები და მოსწავლენი. დიდი წარმატებით გამოვიდნენ პირველი მუსიკალური სკოლისა და საშუალო სპეციალური მუსიკალური სკოლის მოსწავლენი ი. ქუთათელაძე და ნ. მერაბიშვილი, რომლებმაც შეასრულეს ი. ბეჯაძის საფორტეპიანო დუეტი, და მოსწავლეთა ტრიო — ი. ბერაძე, ნ. კავსაძე, მ. მეტრეველი, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ხალხური ცეკვის ანსამბლი და სხვები.

აი, ზეიმი ლენინის იდეებისა. დღეს არა მარტო ხელოვნების ოსტატები, არამედ ხელოვნების მუშაკთა სახლის თვითმოქმედი მსახიობებიც — ო. კელაპტრიშვილი, ა. კანდელაკი, და გ. კანდელაკი თანაბრად კარგად ასრულებენ ფალიაშვილის, ალიაბიევის, შოპენის ნაწარმოებებს. საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა ლ. ჯყონიამ შესანიშნავად შეასრულა მარკეზის „მხიარული“, ტოლანსკის „ჩემი ძვირფასი მხარე“, დიდი წარმატებით იმღერა კაკარადზის „ბოჩინის ოპერა „ბოსკადან“ საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ნ. ანდღულაძემ. წარმატება ხვდა წილად აგრეთვე რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ც. ტატიშვილს, რომელმაც შეასრულა რახმანინოვის რომანსი „გაზაფხულის ნაკადი“.

სცენაზე ერთმანეთს ცვლიან შემსრულებელი მუსიკოსები, მოცეკვავენი, მომღერლები. გულთბილად შეხვდნენ მაყურებელნი რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ა. ნიკურაძეს, რომელმაც დაუკრა შოპენის „რევოლუციური ეტიუდი“, საერთაშორისო კონკურსის ლაურეატს ნ. იაშვილს, რომელმაც დაუკრა სარასატის „ანდალუზიური რომანსი“. რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ლ. მითაიშვილმა და სოლისტმა ვ. აბაშიძემ შეასრულეს მაშკოვსკის „სპორტული ვალსი“, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტებმა ა. დვალმა და ვ. გუნაშვილმა — ცეკვა „ქართული“ ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან“.

სიმღერა „ჩემი საქართველო“ შეასრულა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ი. ზაქაიძემ.

დიდი შთაგონებით იმღერა ქართული ხალხური სიმღერები ჯოკონურმა ანსამბლმა „ჯორდეულამ“.

დიდი წარმატება ხვდა წილად ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ოფიცერთა სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, რომლის მხატვრული ხელმძღვანელია საქართველოს სსრ სახალხო არტისტი პ. მორდასოვი. ანსამბლმა შეასრულა რუსული ხალხური სიმღერა „არის ვოლგაზე სალი კლდე“ და ჯარისკაცული ცეკვა. როგორც ყოველთვის, ბრწყინვალედ გამოვიდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი რუსეთის სსრ სახალხო არტისტის ა. კავსაძის ხელმძღვანელობით.

და სცენაზე კვლავ შთამაგონებლად გაისმის გალაქტიონ ტაბიძის „დროშები ჩქარა!“, რომელიც წაიკითხა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გ. საღარაძემ. სცენაზე ამაყად ფრიალებენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დროშები, რომლებიც სიდიადის, ძლევამოსილებისა და ძლიერების სიმბოლოდ გადაიქცნენ.

კონცერტის დასასრულს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტებისა და გუნდის, სახელმწიფო კაპელის, საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ძალებით შესრულდა ო. თევდორაძის ორატორია „ხალხთა ლენინური მეგობრობა“.

კონცერტის რეჟისორი იყო სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ჩხარტიშვილი, მხატვარი — რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. ლიფანიშვილი, დირიჟორები — საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯ. გოკიელი, გ. აზმაიფარაშვილი და გ. გოცირიძე.

საიუბილეო კონცერტს დაესწრნენ ვ. ბ. მელავანაძე, ბ. დ. ჯაპარიძე, ბ. ს. ძოწენიძე, შ. ე. ჭანუყვაძე, მ. ა. ბოგინიშვილი, ნ. შ. ცხაკაია, რ. ი. ფრუნიძე, ა. ნ. ინაური, ო. ი. ლოლაშვილი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდალი ხ. კ. კუტიკოვი. (საქდესი).

ბელადის იდეები შთაგვაგონებენ

ლენინის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები

სოხუმი

15 აპრილს მიმზიდველად გამოიყურებოდა სოხუმი. დღის 12 საათზე ვ. ი. ლენინის მოედანზე, სადაც აღმართულია დიდი ბელადის ძეგლი, ბევრ ხალხს მოეყარა თავი. აქ აფხაზეთის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დელეგაციებმა ცოცხალი ყვავილების გვირგვინებთ შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი.

ვ. ი. ლენინის იუბილესადმი მიძღვნილი მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კოკაიამ. მიტინგზე მხურვალე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კობახია, სკკპ წევრი 1918 წლიდან მ. მიქანბა, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი პროფესორი ი. გიორგბერიძე. სოხუმის გაზის აპარატურის ექსპერიმენტული ქარხნის მუშა ა. ავიძბა და სხვები.

დღის 2 საათზე კი სოხუმის საზელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. შინკუბამ. მან მოხსენებისათვის სიტყვა მისცა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ვ. კობახიას.

სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ სკკპ წევრი 1917 წლიდან ა. ჯიქია, ნავსადგურის მუშაკი ა. ევტუშენკო, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის კოლმეურნე ს. ჯენია, ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის ბრიგადირი ა. აკობა, აფხაზეთის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი გ. ძიძარია, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ბარციცი და სხვები.

საზეიმო სხდომამ მისალმება გაუგზავნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

დასასრულ აფხაზეთის ხელოვნების მუშაკთა ძალებით გაიმართა კონცერტი.

ბათუმი

საზეიმოდ არის მორთული ბათუმის სახელმწიფო თეატრი. საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ საიუბილეო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. მოვიდნენ აჭარის ასსრ-ის მოწინავე ადამიანები.

სცენის სიღრმეში მოჩანს ვ. ი. ლენინის ბარელიეფი, ვერცხლისფრად ბრწყინავს რიცხვი: „100“, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. დიასამიძე მოხსენებისათვის — ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავის შესახებ სიტყვას აძლევს საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ა. თხილაშვილს.

სიტყვებს ამბობენ: პარტიის ვეტერანების სახელით ძველი ბოლშევიკი ვ. ჭანიშვილი, აჭარის მუშათა კლასის სახელით ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ოპერატორი კ. მოდებაძე, სოფლის მშრომელთა სახელით ქობულეთის რაიონის სოფელ ქაჭუთის კოლმეურნეობის მეჩაიე ევი (სამხრეთ ოსეთის კ. ბეთაგუროვის სახელობის პედინსტიტუტი) და სხვები.

საზეიმო სხდომაზე წაიკითხეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

დასასრულ გაიმართა საღამოსასწაულო კონცერტი.

ცხინვალი

საოლქო ცენტრი მოირთო ალისფერი დროშებით, ვ. ი. ლენინის პორტრეტებით და ტრანსპარანტებით. ყველას სახეზე ამბავდადა სადღესასწაულო განწყობილება. საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობს პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და საოლქო საბჭოს გაერთიანებული საიუბილეო სხდომა, რომელიც ეძღვნება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

სხდომას შესავალი სიტყვით ხსნის სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე კ. ჯიოევი. საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჯუსოევი აკეთებს მოხსენებას „ლენინის დროშით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ“.

გულმხურვალე სიტყვებით გამოდიან შიგმჩარხავი ბ. გაგლოევი (ცხინვალის ქარხანა „ვიბრომანქანა“), სოფელ კეხვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ბასიშვილი (ეხინვალის რაიონი), ძველი ბოლშევიკი ი. ჯიოევი (რევოლუციის ვეტერანთა სახელით). პროფესორი ს. გაბარაევი (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი), ფ. ფუხანის სოფელ ლიხნის კოლმეურნე ს. ჯენია, ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის ბრიგადირი ა. აკობა, აფხაზეთის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი გ. ძიძარია, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ბარციცი და სხვები.

საზეიმო სხდომამ მისალმება გაუგზავნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

ძუთაისი

14 აპრილი სახელმწიფო თეატრში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი.

საზეიმო სხდომა გახსნა ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ უ. ცქვიტინიძემ. მოხსენება „ვ. ი. ლენინის იდეები გვინათებენ კომუნიზმის გზას“ გააკეთა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ბოჭოიძემ.

საზეიმო სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სექციონერ-გამმართველი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ხაზარაძე, სკკპ წევრი 1918 წლიდან რ. გედენიძე, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის დეკანი კ. იმედაშვილი, კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. იმედაძე და სხვები.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

სსრ კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება

ვენა, 16 აპრილი. (საქდესი). დღეს აქ გაიმართა გამალებული სტრატეგიული შეიარაღების შეკავების საკითხებზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების ოფიციალური გახსნის ცერემონია.

ცერემონიაზე გამოვიდა ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი კურტ ვალტჰაიმი, რომელმაც აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის საქმისა და უშიშრობისათვის მოლაპარაკებას, და წარმატება უსურვა ამ მოლაპარაკებას.

საბჭოთა კავშირისა და ამერიკის დელეგაციათა მეთაურებმა ვ. ს. სემიონოვმა და ჯ. სმიტმა სიტყვები წარმოთქვეს.

საბჭოთა მთავრობა, განაცხადა ვ. ს. სემიონოვმა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის დიალოგს გაბალებული სტრატეგიული შეიარაღების შეკავების საკითხებზე.

როგორც ამას წინათ ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, საბჭოთა კავშირი მიესალმებოდა ჟენევრულ შეთანხმებას ამ დარგში და ყოველ შემთხვევაში უკეთესიერს იღონებს, რომ ეს მოლაპარაკება სასარგებლო იყოს.

დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინეს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და ვენესუელის რესპუბლიკის მთავრობა, რომლებიც მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ საჭიროა ხელი შეიწყონ ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის განვითარებას, შეთანხმდნენ დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინონ თავიანთ შესაბამის ქვეყნებს შორის საელჩოთა დონეზე. (საქდესი).

ბელადის იდეებზე

ლენინის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები

ბაკურიანი

ბაკურიანში ბ. ბ. ბოკერიას სახელობის ტანსაცმლის ფაბრიკის ეზოში ამოზრდილ ბაკურიანელ ბავშვებს ბელადი ასეთ ადგილას ხედავენ, ასეთ ადგილას ეგებებიან, ასეთ ადგილას ეფერებიან, ასეთ ადგილას ეალერს

საქართველოს ამა-ბარეთ

აბასთუმანი ეგებება...

ადიგენი. აბასთუმნის მშრომელები დიდი მონდომებით ემზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახვედრად. კეთილმოეწყო და გალამაზდა კულტურის ცენტრი, დაიდგა დღის განათების ლამპიონები.

კულტურის მისასვლელში, იქ, სადაც ერთმანეთს ერთვის ოცი და კუროხასის წყალი, წიწვნარით შემოსილი ციცაბო კლდის ფონზე აღიმართა ვ. ი. ლენინის მონუმენტური პორტრეტი, მდინარის ორივე ნაპირზე აიგო ჯიბირები, გაშენდა სკვერები, სადაც ასობით კვადრატულ მეტრზე დარგეს მწვანე კორდი, დაირგო ციცხალი ყვავილები, წითელი პემზით მოიხრეშება მისასვლელები. მოეწყო მოედანი, რომელიც დაამშვენა ლამპრმა შადრევნებმა და მგზავრთა მოსაცდელმა ფარდულმა.

მდინარე ოცხეზე გაკეთდა რკინის ლამაზი საცალფეხო ხიდი, რომელმაც ერთმანეთთან დაკავშირა ახლადმოწყობილი სკვერ-მოედანი და ახალი სასადილო-პავილიონი.

კულტურის კეთილმოწყობითის სამუშაოებზე ლენინურ შაბათობებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს აბასთუმნის საკულტურო სამმართველოს ასტროფიზიკური ობსერვატორიის, ადიგენის სატყეო მეურნეობის მუშაობისამსახურეებმა, სანატორიუმების „მეს ხ ე თ ი ს“, „არაზინდოს“, „აღობილის“, „ზეკარის“, „ვარძიის“ მედმუშაკებმა და დამსვენებლებმა.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

კეთილი შეფობა

მცხეთა. (საკ. კორ.). საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოლჯონიკიძის რაიკომის ბიუროომ გადაწყვიტა შეფობა გაუწიოს მცხეთის რაიონს. ამ გადაწყვეტილებას პირველი გამოეხმაურა საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომელმაც დიდი ბელადის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად მცხეთაში მოაწყო საინტერესო სამეცნიერო სესია. სესიაზე მოხსენებები წაიკითხეს ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. პაპუნიძემ, დოცენტმა ი. მოსაშვილმა, მეცნიერებათა კანდიდატმა ს. რუხაძემ და საქართველოს მეწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა მ. დალაქიშვილმა.

მიეძღვნა დიად იუბილეს

თელავი. (საკ. კორ.). სამხატვრო სკოლის შენობაში მოეწყო მომავალ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

გამოფენაზე ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სანტერესო მასალებია წარმოდგენილი. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სამხატვრო სკოლის II კლასის მოსწავლის ი. პოღოლოვის მიერ მარმარილოს დაფაზე ამოკვეთილი ბარელიეფი „ვ. ი. ლენინი“.

გამოფენის დამთვალიერებელთა ყურადღებას იპყრობს აგრეთვე სკოლის კურსდამთავრებულის თბილისის სახატვრო აკადემიის სტუდენტის გ. კოლელიშვილის ნამუშევრები „წყაროსთან“, „ხილის ნატურმორტი“ და ბარელიეფი „ზოპარი“. ბევრი დამთვალიერებელი ჰყავს სამხატვრო სკოლის IV კლასის მოსწავლის ვ. ლეკიშვილის ნახატებს „სასამინდეს“ და „ცხვრებს“, III კლასის მოსწავლის ზ. ბაჩანაშვილის „შემოდგომის ეტიუდს“, „საოჯახო ნივთებსა“ და სხვა ექსპონატებს.

მზადება არჩევნებისათვის

ბონი, 16 აპრილი. (საკდესი). დასავლეთგერმანელი კომუნისტები აქტიურად ემზადებიან ლანდტაგების (მხარეების პარლამენტის) არჩევნებისათვის, რომელიც წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელ რიგ მხარეებში გაიმართება. მაგალითად, უკანასკნელი 16 წლის მანძილზე ისინი პირველად კვლავ მიიღებენ მონაწილეობას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უდიდესი სამრეწველო რაიონის — ჩრდილოეთ რინ-ვესტფალიის მხარის არჩევნებში. გერმანელთა კომუნისტურმა პარტიამ უკვე დაასახელა თავისი კანდიდატები ასორმოცდათიგე საარჩევნო ოლქში.

მხარის პარლამენტის არჩევნებისათვის მზადებას მიეძღვნა გერმანელთა კომპარტიის კონფერენცია, რომელიც დუსელდორფში გაიმართა.

კონფერენციის 300-ზე მეტმა დელეგატმა განაცხადა, რომ დასავლეთგერმანელი კომუნისტები წინასაარჩევნო ბრძოლის დროს მთავარ დარტყმას მიაყენებენ ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს მსხვილი კაპიტალის პარტიას, აგრეთვე ნეონაცისტურ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც აგრეთვე აპირებს ჩრდილოეთ რინ-ვესტფალიის არჩევნებში თავისი კანდიდატების დასახელებას.

მსოფლიო დღეს

კამათი ბუნდესტაგში

ბონი, 15 აპრილი. საკღესის კორესპონდენტი ი. ბორისოვი გვატყობინებს:

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ბრანდტმა დღეს ბუნდესტაგის სხდომაზე გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ნიქსონთან ვაშინგტონის მოლაპარაკების შედეგები. მან თქვა, რომ ეს მოლაპარაკება, რომელიც „ნამდვილი პარტნიორობის“ ნიშნით მიმდინარეობდა, „დამაკმაყოფილებელი“ იყო.

ბრანდტმა კიდევ ერთხელ გამოთქვა აზრი, რომ ამერიკის ჯარი უნდა დარჩეს დასავლეთ ევროპაში.

კანცლერის თქმით, ბონის პოლიტიკას სოციალისტურ სახელმწიფოთა მიმართ ვაშინგტონში „გაგებითა და მხარდაჭერით“ ეკიდებიან. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან მოლაპარაკების შემდეგ, თქვა ბრანდტმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას განზრახული აქვს განაგრძოს თავისი წინანდელი პოლიტიკა.

შემდეგ ბუნდესტაგში დაიწყო კამათი საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის — თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მთავრობას თავს დაესხა ოპოზიციური ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ფრაქციის თავმჯდომარე ბარცელი, რომელმაც გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ მოხდეს ბონის რაიმე შეთბრუნება რეალური სინამდვილისკენ. მან აღნიშნა, რომ ოპოზიცია „კვლავ აწუხებს“ მთავრობის პოლიტიკა სოციალისტური ქვეყნების მიმართ.

ბარცელმა მოითხოვა ნატოს გაძლიერება და ამერიკის ჯარების დატოვება დასავლეთ გერმანიაში, აგრეთვე მოითხოვა, რომ ბონმა გაზარდოს თავისი სამხედრო „წვლილი“ ნატოში.

„აპოლონ-13“ დედამიწისკენ მოუბრუნავს

ნიუ-იორკი, 15 აპრილი. (საკდესი). **„კოსმოსური ხომალდი „აპოლონ-13“, რომელშიც სამი კოსმონავტია — ჯ. ლოველი, ფ. ჰეისი და ჯ. სუიჯერტი — ამჟამად დედამიწისაკენ ფრენის ტრაექტორიაზეა.**

ხომალდში, როგორც ცნობილია, მწყობრიდან გამოვიდა ძირითადი ბლოკის ენერგეტიკული დანადგარი, რამაც ფრენის ხელმძღვანელები აიძულა უარი ეთქვათ განზრახვაზე „აპოლონ-13“ დაესვათ მთვარეზე. ახლა კოსმონავტებს ყანგბადის, წყლისა და ელექტროენერგიის რესურსების შეზღუდული მარაგი აქვთ. მაგრამ, როგორც ფრენის ხელმძღვანელმა განაცხადა, „აპოლონ-13“ აქვს საკმარი რესურსები დედამიწაზე დასაჯდომად.

დედამიწისაკენ მომავალ გზაზე ორი კოსმონავტი მთვარის კაბინაშია, სადაც სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემა არ დაზიანებულა. ერთი კი — ძირითად ბლოკში. იგი იყენებს ყანგბადს, რომელიც მთვარის კაბინიდან მოდის. ჰიუსტონის კოსმოსურ ცენტრში ფრენის ხელმძღვანელები აღნიშნავენ ეკიპაჟის წევრების სიმშვიდესა და დიდ თავდაჭერილობას.

აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს სპეციალისტები, რომლებიც არკვევენ ხომალდში უწესესრობათა მიზეზებს, ვარაუდობენ, რომ „აპოლონში“ დაიშალა მდუღარე ყანგბადიანი ერთ-ერთი ავზი, რომელსაც იყენებენ ყანგბად-წყალბადის სათბობ ელემენტებში, აგრეთვე ეკიპაჟის ნაკვეთურის სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემაში.

ავარიის შედეგად გაძნელდა კავშირი საკონტროლო ცენტრთან, რადგან ხომალდის ანტენები განუწყვეტლივ „კარგავენ“ მიწას.

აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის სამმართველომ შექმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც ხელმძღვანელობს „აპოლონ-13“ დაბრუნებას.

როგორც გაანგარიშებანი მოწმობენ, კორექციის შემდეგ „აპოლონ-13“ წყალზე უნდა დაეშვას 17 აპრილს დაახლოებით 20 საათზე მოსკოვის დროით წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის რაიონში (სამოას არქიპელაგსა და ახალ ზელანდიას შორის).

საძიებო-მაშველი სამსახურის ავიამზიდი „ივოიმა“ მიდის წყალზე დაშვების გაანგარიშებული ადგილისაკენ. ფრენის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ მთვარის კაბინის რესურსები საკმარისი იქნება ატმოსფეროში შემოსვლის წინ ეკიპაჟის ნაკვეთურისაგან მისი გამოყოფის მომენტამდე. ფრენის დამამთავრებელ ნაწილს კოსმონავტები ეკიპაჟის ნაკვეთურში მოახდენენ. აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს დირექტორმა ტომას პაინმა განაცხადა, რომ ავარია კოსმოსურ ხომალდში, რა თქმა უნდა, არსებით გავლენას მოახდენს ამერიკის კოსმოსურ პროგრამაზე.

ნიუ-იორკი, 16 აპრილი (საკდესი). ამერიკის კოსმოსური ხომალდი „აპოლონ-13“ განაგრძობს ფრენას „მთვარე-დედამიწის“ ტრასით“.

დღეს დილით მოეწყო მთვარის შემოფრენის შემდეგ ფრენის ტრაექტორიის მეორე კორექცია, რათა უზრუნველყონ ხომალდის წყალზე დაშვება წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

შეხვედრა ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 16 აპრილი. (საკდესი). აქ გაიმართა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენელთა მორიგი შეხვედრა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის პოლიტიკური მოწესრიგების საკითხზე.

აგრესორთა ინგლისელი „მრჩევლები“

ლონდონი, 15 აპრილი. (საკდესი). ინგლისელი ოფიცრები ამუშავებენ ვიეტნამელ პატრიოტთა წინააღმდეგ ომის წარმოების მეთოდებს, თუმცა ინგლისმა ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი არ მონაწილეობს ამ ომში. პოდპოლკოვნიკმა ჯონ კრისმა და მაიორმა, ჯონ ედვარდსმა, ნათქვამია „დელი მეილის“ კორესპონდენტის ჰარვი ელიოტის მალაიზიიდან გამოგზავნილ ცნობაში, შარშან აგვისტოში მოაწყვეს საიდუმლო მოგზაურობა ჯუნგლებში ომის წარმოების ამერიკის სამხედრო-საწვრთნელ ცენტრში, რომელიც საიგონის მახლობლად მდებარეობს. იქ ისინი აძლევდნენ ვიეტნამელ პატრიოტთა წინააღმდეგ ომის წარმოების რეკომენდაციებს და უზიარებდნენ გამოცდილებას.



ვ. ი. ლენინის პორტრეტი ოსტატურად გაკეთა ხის ფოთლებისაგან უნგრელმა მატიაშ კიორგენდიმ. ტყის მრეწველობის მუშაკი გალატონსარსოდან თავისუფალ დროს მხატვრულ შემოქმედებას ეხმარა. მას გადაწყვეტილი აქვს თავისი ნამუშევარი წარადგინოს საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც 1970 წლის ივნისში გაიმართება ფიოფოკში.

ფოტო მტი-საკდესისა

ბელადის ლენინიდან

აგრესორის მფარველნი

ნიუ-იორკი, 16 აპრილი. (საკდესი): მმართველი რესპუბლიკური პარტიის გავლენიანი მოღვაწეები მოითხოვენ, რომ ამერიკამ უფრო ფართო დახმარება გაუწიოს ისრაელ ექსტრემისტებს.

ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა ნელსონ როკფელერმა მოითხოვა, რომ განაგრძონ ამერიკის იარაღის მიწოდება ისრაელისთვის. „ისეთე როგორც ჩვენი საკუთარი ინტერესებისათვის, ისე ისრაელის ინტერესებისათვისაც შეერთებულმა შტატებმა უნდა უზრუნველყონ ისრაელის საჭირო სამხედრო მხარდაჭერა“, — განაცხადა მან სადილზე, რომელიც მოაწყო სიონისტურმა ორგანიზაციამ „ებრაელთა გაერთიანებულმა მოწოდებამ“.

თოვლის ზვავის მსხვერპლნი

პარიზი, 16 აპრილი, (საკდესი). წუხელ დიდი ზვავი ჩამოწვა დაბა როკ დე ფიზში, რომელიც ზემო სავოიის დეპარტამენტის ქალაქ სენ-ჟერვეს ახლოს მდებარეობს. მთლიანად დაიფარა თოვლით ბავშვთა ტუბერკულოზური სანატორიუმის ერთ-ერთი კორპუსი. მაშინვე დაიწყო საშველი სამუშაოები, რის შედეგადაც თოვლიდან ამოიყვანეს დაშავებული შვიდი კაცი. მშველელებმა იპოვეს აგრეთვე ოთხი დაღუპული ადამიანის გვამი. ამჟამად, ზემო სავოიის პრეფექტურის მონაცემებით, თოვლში ჩამარხულია 66 კაცი.



... ბ ა ლ ი ო

18 აპრილი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — შ. აზმაიფარაშვილი. სიმფონიური პოემა „ყვავილის მთვლა“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“ 08.30 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 11.05 — ხოლმინოვი. ნაწყვეტები ოპერა „ოპტიმისტური ტრაგედიიდან“. 11.45—ს. ციხციძე. მუსიკა კინოფილმებიდან, 12.00 — „როცა ლენინის შესახებ გადაცემებს ვისმენთ...“ რადიომსმენელთა წერილების მიხედვით (მოსკოვი), 12.30 — გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 12.45 — დ. თორაძე. საბალეტო მუსიკა, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ღისტი. უმაღლესი საშემსრულებლო ოსტატობის ეტიუდები, 14.00 — „მხიარულ ტალღაზე“, 14.25 — დ. შოსტაკოვიჩი. ორატორია „სიმღერა ტყეებზე“, 14.55 — „ლენინის საუბარი დღე“. რადიოდადგმა, 16.15 — ციკლიდან „მოგონებები, სტატიები, წერილები“. კონცერტი-საუბარი ლენინი და მუსიკა“, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის. რეპერტუარი სიმღერები, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — მსუბუქი მუსიკა, 19.00 — რადიოჟურნალი „ლენინური ალმანახი“, 19.30 — მ. ამირანაშვილისა და პ. ამირანაშვილის კონცერტი, 20.00 — უკანასკნელი ცნობები. რადიოგადაცემა „ეთერი-1“ (მოსკოვი), 20.30 — ახალგაზრდობისათვის. რადიოკომპოზიცია „გმირის ძეგლთან“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — „მწვრალი მიკროფონთან“, 22.00 — ბეთჰოვენი. მეორე სიმფონია, 22.50 — ქართველ კომპოზიტორთა საფორტეპიანო პიესები, 23.30 — ა. პახმუტოვა. სიმღერები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

... ტ ე ლ ი ვ ი ზ ი ა

17 აპრილი

10.05 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად ლექცია ქიმიაში, 10.35 — ლექცია ქართულ ენაში, 11.05 — კინოპროგრამა, 11.45 — მხატვრული ფილმი — „ჩვენი ნაცნობები“, 18.05 — ახალი ამბები, 10.10 — კინონარკვევი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“, 18.55 — „იყო და არა იყო რა“, 19.10 — — „ეკონომიური სტიმულირების შედეგები“, 19.35 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. 20.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — გადაცემა — „ქართული ენციკლოპედიის რედაქციაში“, 21.40 — კინონარკვევი, 22.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა — „პალიტრა“, 22.30 — გადაცემა ციკლიდან — „კინოლენინიანა“.

... თ ი ა ტ რ ე ბ ი

17 აპრილი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მიწის შვილები (ბრემიერა), **თოჯინების ქართული** — თხუპნია (11 ს. 77-ე, 82-ე და 144-ე სკოლები, 1 ს. 102-ე სკოლა, 3 ს. მე-4 და 68-ე სკოლები).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ფერილი ავსტრალიიდან

კონცერტებით მეხუთე კონტინენტზე

ნარმატებით დაამთავრა თავისი გამოსვლები საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დასახურებულმა ანსამბლმა ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით ავსტრალიის ქალაქ ადელაიდაში. 11 კონცერტი, ხალხით გაჭედილი „აპოლო სტადიუმი“. დიდხანს დაამახსოვრდება ადელაიდელ მაყურებელს. ამ ქალაქის პრესამ საუკეთესო შეფასება მისცა ქართველ მოცეკვავეთა ბრწყინვალე გამოსვლებს. გაზეთები აღნიშნავდნენ, რომ ქართველები საუკეთესონი იყვნენ იმ სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნების წარმომადგენელთა შორის, რომლებიც მონაწილეობდნენ ადელაიდაში გამართულ მსოფლიოს მუსიკისა და ცეკვის ფესტივალში.

ჩვენი ანსამბლი ამჟამად ავსტრალიის უდიდეს ქალაქ სიდნეიში იმყოფება. როდესაც თვითმფრინავი სიდნეის აეროპორტში დაეშვა, შავ ჩოხა-ახალუხიანმა ბიჭებმა პირდაპირ ტრაპიდან დაიწყეს ცეცხლოვანი ცეკვა „მხედრული“ აქ მოსული პრესის მუშაკებისათვის. ცნობისმოყვარე ჟურნალისტები უამრავ შეკითხვას გვაძლევდნენ. ამ სახელდახელო „პრეს-კონფერენციას“ იქვე ტელევიზიით გადასცემდნენ.

აქვე გველოდა არასასიამოვნო სიურპრიზი, როდესაც ავტობუსებით აეროპორტიდან გამოვდიოდით, წინ შემოგვხვდა აქაური ებრაელ ემიგრანტთა ჯგუფი, რომლებიც შოვინისტური პლაკატებით ხელში პროტესტს აცხადებდნენ სიდნეიში ჩვენი ჩამოსვლის გამო.

სულ სხვანაირად შემოგვეგებნენ სტუმართმოყვარე ავსტრალიელები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება: სტუმრებო!“, „მილიონობით ავსტრალიელი მოუთმენლად ელის თქვენთან შეხვედრას, თქვენი ხელოვნების ნახვას!“ — გვეუბნებოდნენ ისინი.

...სიდნეის მთავარ მაგისტრალზე — „ჯორჯ სტრიტზე“ უზარმაზარი აფიშები აუწყებენ გამველელ-გამომველს, რომ სიდნეიში უკვე ჩამოვიდა მსოფლიოში სახელგანთქმული ქართული ცეკვის ანსამბლი. დიდი ასოებით დაწერილი ტექსტები მოუწოდებენ: „ყველანი „მაეესტისის“ თეატრში!“, „იხილეთ ქორეოგრაფიის არაჩვეულებრივი სანახაობა!“

...მღელვარების უკანასკნელი წუთები... დაჰკრა ღოლმა, ამდერდა დუდუკი... ეროვნული ტანსაცმლით გამოწყობილი ჩვენი ქალიშვილებისა და ჭაბუკების პირველივე გამოჩენაც ტაშის გრიალს იწვევს. მთელ სალამოს არ შემწყდარა მაყურებელთა ოვაციები „მაეესტისის“ თეატრში. ყოველი ცეკვის გამეორებას მოითხოვდნენ. ისმოდა „ბრავოს“ ძახილი, სტვენა, ფეხების ბრახუნი, რაც საერთოდ უყვარს აქაურ მაყურებელს. სცენა ყვავილებით აივსო...

შეიძლება ითქვას, რომ მეორე დღეს სიდნეის გაზეთები თითქოსდა ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ქართველ მოცეკვავეთა ხელოვნებისათვის უმაღლესი შეფასების მიცემაში, აღტაცებულ რეცენზიებს უძღვნიდნენ ჩვენი ანსამბლის გამოსვლას. აი ნაწყვეტები ზოგიერთი მათგანდან:

„დეილი მირორი“

„საბჭოთა წარმოდგენები ყოველთვის აღელვებდა სიდნეის მაყურებელს, მაგრამ ისე არასდროს, როგორც ქართული ანსამბლის წარმოუდგენელი მოცეკვავეების გამოსვლისას.

გუშინ პრემიერაზე „მისი უდიდებულესობის თეატრში“ მაყურებელი 14 წუთს უკრავდა ტაშს, სანამ ფარდა საბოლოოდ არ დაიხურა.

როდესაც წარმოდგენა დაიწყო, საუცხოო კოსტიუმებიანი 12 მოცეკვავე გოგონას მომხიბვლელობამ და სილამაზემ სუნთქვა შეუკრა დარბაზში მყოფ მაყურებელს.

ისინი ჰგავდნენ ნარნარად მოსრიალე ხელოვნურ დედოფლებს.

მამაკაცებმა აჩვენეს განსაცვიფრებელი სისწრაფე...

ქართველი მოცეკვავეები არ იყენებდნენ ტანვარჯიშულ ილეთებს, რათა გაეკვირვებინათ მაყურებელი“.

„ეროვნული ბალეტი“

„ქართველი მოცეკვავეები — ეს ჭარიშხალია!“

„არასოდეს არ ყოფილა აქ მანამდე საქართველოს ცეკვის ანსამბლის მსგავსი“.

„ისინი (ქართველი მოცეკვავეები) საქართველოდან პირდაპირ „მაეესტისის“ თეატრის სცენაზე „გადმოსტენენ“ და განცვიფრებისაგან დაამუნჯეს ხალხით გაჭედილი დარბაზი.

„ეს არის თავაწყვეტილი ქარიშხალი ხალხური ცეკვების, ეს არის მფრინავი სხეულები, შემართული ხმლები, სცენაზე დაფრქვეული ნაპერწკლები“.

„სიდნეი მორნინგ ჰერალდი“

„ტემპი და გამძლეობა“.

„ჩვენთან ისევ ქართველები არიან“. „გუშინ პირველი საღამოზე „მისი უდიდებულესობის თეატრში“ მაყურებელი გულთბილად უკრავდა ტაშს, რაც მსახიობებმა სამართლიანად დაიმსახურეს.

„რა გამძლეობაა“!

„სპექტაკლი იმდენად კარგია, რომ აუცილებლად უნდა ნახოთ“ — მოუწოდებს მკითხველებს ჟურნალისტი ქალი ბარბარა ოლი.

„ქართველ მსახიობებს ორი პრობლემა აქვთ გადასაჭრელი: რა შეასრულონ „ბისზე“ და ამის შემდეგ რითი დამთავრონ წარმოდგენა მაყურებლის წინაშე, რომელიც უარს არ ამბობს ტაშის დაკვრაზე. ისინი ამ პრობლემებს წყვეტენ გრიგალისებური ენთუზიაზმით, კიდევ უფრო მაღალი ნახტომებით მუსლებსა და ცერებზე“.

ჩვენი ანსამბლის თვითეულ წევრს ეუფლებულება ხოლმე ამ სიტყვების გამეორება, რომლითაც ამკობენ ჩვენს ხელოვნებას ადგილობრივი რეცენზენტები. მრავალრიცხოვანი მაყურებლის აღტაცებას ენა ვერ გამოთქვამს. ხშირად მიფიქრია: ნეტავი ჩვენს ხალხს აყურებინა ამ აზვირთებული აღტაცებისათვის, ამ ამბობჭრებული დარბაზებისათვის...

...ლამაზი ქალაქია სიდნეი — ავსტრალიის მსხვილი სამრეწველო და პოლიტიკური ცენტრი. მის ფართო მაგისტრალებს მიაყვება მინისა და ალუმინისაგან ნაგები გოლიათური შენობები. აი, მაგალითად, ეი-ემპიროდინგი. მისი აშენება მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდა, გვითხრეს. აქ ყველაფრის ღირსებას მასზე ოახარჯული ფულით ანგარიშობენ. 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი დამჯდარა ხიდი ორიგინალური კონსტრუქციისა. იგი მხოლოდ ერთ მალზეა დაყრდნობილი, მისი სიგრძე 4 კილომეტრია. სიმაღლე — 150 მეტრი. სხვათა შორის, ხიდზე ვასვლა უფასოდ არ შეიძლება და თუ ამოდენა მოძრაობას გავითვალისწინებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მის მფლობელთ საკმაო შემოსავალს აძლევს.

აქაური მშენებლები ძალზე ჯაბიდოლად მიმართავენ უახლეს საინჟინრო და არქიტექტურულ ფორმებს, ახალ კონსტრუქციებს. „ჯორჯ სტრიტზე“, ზოვის პირას გვაჩვენეს საოპერო თეატრის შენობა, რომლის მშენებობა ჯერ კიდევ 1963 წელს — პირველად ჩვენი აქ ყოფნის დროს დაიწყო. ეს ნაგებობა ხელოვნების ნამდვილ ნიმუშად ჩაითვლება.

სიდნეი უდიდესი სანაოსადგურო ქალაქია. მისი მისადგომების სიგრძე 25 კილომეტრს აღწევს. ყოველდღიურად აქ ათობით საოკეანო გემი შემოდის. აქედან გაგაქვთ მთელი იმ მატყლის ნახევარი, რომლის ექსპორტსაც ავსტრალია ეწევა, და დიდძალი სხვა საქონელი...

მაყურებელთა ინტერესი ჩვენი კონცერტებისადმი ღღითიდღე იზრდება. ყველა ბილეთი უკვე წინასწარ გაიყიდა. ჩვენმა იმპრესარიომ მიაკო ეჯლომ ანსამბლის დირექტორთან ილიკო სუხიშვილთან შეთანხმებით გაზარდა კონცერტების რიცხვი. ახლა ღღეში ხშირად ორ-ორი კონცერტი გვაქვს.

ანსამბლის წევრები მუშაობენ უდიდესი ხალისითა და მონდომებით. სიდნეიში სამი კვირა დავრჩებით. შემდეგ კი ახალ ზელანდიაში გავემგზავრებთ.

თენგიზ ურთმელიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.
სიდნეი, ავსტრალია.

* * *

ს ურ ა თ ზ ე: ასეთი რეკლამებით აუწყებენ ავსტრალიის გაზეთები ხაზოგადოებრიობას ქართველ მოცეკვავეთა გასტროლების შესახებ.

... ჰ ო ლ ა ნ დ ი ა ს ა ი — ტ ო ურ ნ ი რ ზ ე

მოსკოვი, 15 აპრილი. (საკდესი). მსოფლიოს ჩემპიონი ბორის სპასკი და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მიხელ ბოტვინიკი დღეს გაფრინდნენ ამსტერდამში, რათა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო მატჩ-ტურნირში, რომელიც იწყება 17 აპრილს ჰოლანდიის ქალაქ ნორდვიკ-ან-ზეეში.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ბორის სპასკიმ თქვა:

— შემოქმედებითი თვალსაზრისით ეს საინტერესო ტურნირი ეწყობა ლეიდენის საქადრაკო საზოგადოების 75 წლისთავის აღსანიშნავად. შეჯიბრებაში, საბჭოთა მოჭადრაკეების გარდა, გამოვლენ აგრეთვე გროსმაისტერები ბენტ ლარსენი (დანია) და იან ჰეინ დონერი (ჰოლანდია). თვითეულმა მონაწილემ უნდა ითამაშოს 12 პარტია (ოთხ-ოთხი ერთმანეთთან). ტურნირი 7 მაისამდე გასტანს.

... ბ ო ლ ნ ი ს ი ს ბ ი რ ს ა ქ ვ ი ს ... ...